| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობით ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. აგრეთვე 2020 წელს დასრულდება ქ. თელავში, ქეთევან წამბულის ქუჩაზე მდებარე N5, N7, N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია. განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული, ავარიული და საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების (კორპუსების რაოდენობა 60) ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა);</p> <p>მიზანი: ბინათმშენებლობით ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 05 01 | | 1203,07 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობით ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. აგრეთვე 2020</p> | | |



| | | | |
|-------------------------------|--|--|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>წყელს დასრულდება ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე N5, N7, N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია. განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული, ავარიული და საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების (კორპუსების რაოდენობა 60) ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა);</p> <p>მიზანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;</p> | | |
|-------------------------------|--|--|--|

| | | | |
|-----------------------------|--|--|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 06 | | 90,86 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის განხორციელებისას შემენილი იქნება საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ., რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში, განხორციელდება სოფ. გულგულაში და სოფ. ბუშეტში მემორიალების და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა/რეაბილიტაცია. ქ. თელავში ზუზუმბოს ქუჩაზე სკვერის მიმდებარედ არსებულ ხიდთან მისასვლელი ბილიკის მოწყობა.</p> <p>აგრეთვე დაფინანსდება სასმელი წყლის ე.წ. „სოკოების“ მიერ მოხმარებული წყლის ანაზღაურება და სხვა.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|---|--|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 06 01 | | 87,86 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის განხორციელებისას შემენილი იქნება საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ რომლებიც შეასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელ და განსაკუთრებულ შემთხვევაში. განხორციელდება სოფ. გულგულაში და სოფ. ბუშეტში მემორიალების და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა/რეაბილიტაცია. აღდგენა/რეაბილიტაცია. ქ. თელავში ზუზუმბოს ქუჩაზე სკვერის მიმდებარედ არსებულ ხიდთან მისასვლელი ბილიკის მოწყობა.</p> <p>მიზანი: წარმოშობილი პრობლემების დროულად აღმოფხვრა, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|--|----------------------|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასმელი წყლის „სოკო“ | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 06 02 | | 3,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის სოკოების მიერ მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება | | |

| | | | |
|----------------------|------|------------------------|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სარიტუალო ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|----------------------|------|------------------------|--------------------------------------|



| | | | |
|-----------------------------|--|--|------|
| | 02 07 | | 70,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოები. გატანილი იქნება სასაფლაოების ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ნაგავი და გადაბედილი ხის ტოტები.</p> <p>მიზანი: მოწესრიგებული სასაფლაოები.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|---|------------------------------|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 07 01 | | 70,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის განხორციელებისას დასუფთავდება და მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოები. გატანილი იქნება სასაფლაოების ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ნაგავი და გადაბედილი ხის ტოტები.</p> <p>მიზანი: მოწესრიგებული სასაფლაოები.</p> | | |

| | | | |
|-----------------------------|---|---|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 08 | | 18,5 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის განხორციელებისას მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.</p> <p>მიზანი: საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირება</p> | | |

| | | | |
|-----------------------------|---|---|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 09 | | 881,56 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებაში დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.</p> <p>მიზანი: დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელება.</p> | | |



| | | | |
|-----------------------------|--|----------------------------------|----------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | ლარებში) |
| | 02 10 | | 44,45 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ბეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფ. ფშაველში კემპინგის მოწყობის სამუშაოების დასრულება. მიზანი: ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კომფორტული გარემოს შექმნა; | | |

| | | | |
|-----------------------------|--|--|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 02 11 | | 96,3 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ბეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | 2020 წელს იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფ. წინანდალში „დოლიაურის ხევის“ ნაპირების გამაგრებითი სამუშაოები. დროთა განმავლობაში წყალმოვარდნების შედეგად „დოლიაურის ხევის“ ისეა დაზარალებული, რომ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს და საცხ. სახლებს. საჭიროა კალაპოტი მოექცეს რკინა-ბეტონის ფორმირებაში. განხორციელდება საპროექტი-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა („დოლიაურის ხევის“, მაწანწარის ხევის, ართანისხევის, „ჭიჭყაყის ხევის“ და ვანთისხევის). მიზანი: სტიქიის შედეგების თავიდან აცილება | | |

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები.

ათას ლარში

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2020 წლის გეგმა | | |
|-------|---|-----------------|---|---------------------|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსევები |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,442.00 | 143.76 | 1,298.24 |
| 03 01 | დასუფთავების ღონისძიებები | 992.42 | 0.00 | 992.42 |
| 03 02 | გარემოს დაცვის ღონისძიებები | 324.58 | 143.76 | 180.82 |
| 03 03 | პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| 03 04 | მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები | 25.00 | 0.00 | 25.00 |



| | | | |
|-----------------------------|--|---------------------------|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | დასუფთავების ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 03 01 | | 992,42 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მუნიციპალიტეტში კომფორტული გარემოს შექმნისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. პროგრამის განხორციელებისას მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ყოველდღიურად დაიგვება და დასუფთავდება ქალაქ თელავის ქუჩები, 2020 წელს იგეგმება ტრანსპორტის შექმნა დასუფთავების ღონისძიებების განმახორციელებლად, აგრეთვე შექმნილ იქნება დამატებით 45 ცალი ნაგვის ურნა.</p> <p>მიზანი: სუფთა გარემოს უზრუნველყოფა</p> | | |

| | | | |
|-----------------------------|--|-----------------------------|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | გარემოს დაცვის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 03 02 | | 324,58 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საჭიროების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამზმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირებისათვის ღონისძიებების დაფინანსება; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება „კისისხევის ხევის“ გაწმენდითი სამუშაოების დასრულება, სოფ. კურდღელაურის მიმდებარედ „უსახელო ხევის“ და აეროპორტ „მიმინო“-ს ქვეშ არსებული გალერეის გაწმენდის სამუშაოები.</p> <p>მიზანი: გამზმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირება, უსაფრთხო გარემოს შექმნა.</p> | | |

| | | | |
|-----------------------------|---|---|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 03 03 | | 100,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა ითვალისწინებს დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას. ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე საფარი. სეზონური მცენარეებით დეკორატიულად გაფორმდება ქალაქის სხვადასხვა ტერიტორია. ჩატარებული იქნება სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა.მწვანე ნარგავების მორწყვა, სეზონურად მოყვავილე ერთწლიანი ყვავილების დარგვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა და სხვა); მოვლა-პატრონობა გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში,</p> <p>მიზანი: მოვლილი მწვანე ნარგავები და განახლებული მწვანე საფარი, ესთეტიური გარემოს შენარჩუნება -განვითარება</p> | | |



| | | | |
|-----------------------------|--|---|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | მაწანწალა ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 03 04 | | 25,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესწილად დარჩენილი ძალების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება.</p> <p>პროგრამის მიზანია: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.</p> | | |

3. განათლება (კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცია-ექსპლოატაციის ღონისძიებები. აგრეთვე, აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2020 წლის გეგმა | | |
|----------|--|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 04 00 | განათლება | 7,188.75 | 1,405.65 | 5,783.10 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 4,800.00 | 0.00 | 4,800.00 |
| 04 02 | სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 764.00 | 0.00 | 764.00 |
| 04 03 | პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| 04 03 01 | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება | 100.00 | 0.00 | 100.00 |
| 04 04 | საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები | 1,524.75 | 1,405.65 | 119.10 |

| | | | |
|----------------------|------|--|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|----------------------|------|--|--------------------------------------|



| | |
|-----------------------------|--|
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)პ - თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ზაღების მართვის სააგენტო |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>თელავის მუნიციპალიტეტში 31 ზაგა-ზაღია. ზაღებში 108 ასაკობრივი ჯგუფია; დასაქმებულია 653 პირი. ამ ეტაპზე ხელმისაწვდომობა მაქსიმალურად უზრუნველყოფილია, რადგან მუნიციპალიტეტში 2-დან 6 წლამდე სულ 3273 ბავშვია (იუსტიციის სახლის და სოფლების ამბულატორიების მონაცემების მიხედვით) და აქედან 3180 სარგებლობს სკოლამდელი განათლებით. სრულად რეაბილიტირებულია 6 ზაგა-ზაღი, ნაწილობრივ რეაბილიტირებულია 13 ზაგა-ზაღი. ზაღებში ძირითადი გამოწვევებია ბავშვთა რაოდენობა ჯგუფებში, ჯგუფში პერსონალის შესაბამისობა ბავშვების რაოდენობასთან (13:1/15:1), დასაქმებული კადრის კვალიფიკაცია, ზაღების მატერიალურ-ტექნიკური ზაზა. არსებული ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის და შტატების დამტების პრობლემაში, ასევე გადამზადების პროგრამების დაფინანსებით, აღნიშნული გამოწვევები ექვემდებარება დაძლევას. თელავის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ხელმისაწვდომია სკოლამდელი განათლების დაწესებულება, ხოლო ლეჩუმიდან ხორციელდება აღსაზრდელთა ტრანსპორტირების დაფინანსება. 32-ე ზაღი სოფ. ნასამხრალში 2020 წლისთვის შევა ექსპლოატაციაში.</p> <p>31 ზაღისთვის უნიფიცირებულია კვების სტანდარტის შესაბამისი მენიუ და ის სრულად შეესაბამება N 487 დადგენილებას. სასწავლო პროცესები დაქვემდებარებულია სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მაქსიმალურად ხდება სასკოლო მზაობის უზრუნველყოფა. 2019 წელს გამოშვებული აღსაზრდელის 70% სრულად აკმაყოფილებს სასკოლო მზაობის პროგრამას.</p> <p>ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ზაღების მართვის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან (კარიტასი ჩეხეთი, სსიდა, ილიას უნივერსიტეტთან არსებულ ბავშვთა განვითარების ცენტრთან, მაკლეინის ასოციაციასთან, პორტიჯის ასოციაციასთან, და სხვა).</p> |

| | | | |
|---------------------------------------|---|---|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 04 02 | | 764,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და მეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების უმეტესობა არის აშენებული საკმაოდ დიდი ხნის წინ, საბავშვო ბაღების შენობების ნაწილი არის ამორტიზირებული და საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. გარდა ამისა, კონტინგენტის ზრდის გამო აუცილებელია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება სოფ. კურდელაურში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. სოფ. აკურაში, სოფ. გულგულაში, სოფ. წინანდალში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. გამოვლენილი ეკონომიების და დამატებით მოძიებული ფინანსებით მოხდება სხვა ბაღების მოწყობა/რეაბილიტაცია. 2020 წელს გაგრძელდება 2 საბავშვო ბაღის - თელავის N1 ზაგა-ზაღის და სოფ. იყალთოში ზაგა-ზაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეეძენებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის სათანადო პირობები.</p> <p>მიზანი: აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|--|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 04 03 01 | | 100,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ააიპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები იმაღლებენ განათლების დონეს. მეცადინეობები მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილს. ეს მათ ეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში. მასობრივ კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსწავლე ახალგაზრდები იმაღლებენ კულტურულ დონეს, ამავე დროს უყალიბდებათ ჯანსაღი ცხოვრების წესი -თავისუფალი დროის სწორედ გამოყენება. მოსწავლე ახალგაზრდები მონაწილეობას იღებენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის , მუნიციპალიტეტის ღონისძიებებში, ფესტივალებში. პროგრამა ითვალისწინებს მასტერკლასებს, სასწავლო შედეგებით მიზნით ექსკურსიებსა და ლექციებს სხვადასხვა</p> | | |



თემებზე, ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდებს შორის შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლება-განვითარებას. თეატრალური კულტურისა და დისციპლინის პროპაგანდას. წრეობრივი მუშაობა გათვლილია მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესებზე. წრეობრივი მუშაობა მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც მათ ეხმარებათ პროფესიულ ორიენტაციაში. უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველ და შშ პირთა უფასო მომსახურება. წრეობრივ მეცადინეობებში ჩართულია 395 მოზარდი.

| | | | |
|---------------------------------------|---|--|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 04 04 | | 1524,75 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და მეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვა. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები.</p> <p>განხორციელდება: 2020 წელს ჩასატარებელი საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვა, სოფ. ნაფარეულის საჯარო სკოლის შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სოფ. კისისხევის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და ქ. თელავის მეორე საჯარო სკოლის გათბობის ქვების რეაბილიტაცია, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაფარეულის საჯარო სკოლის ეზოს აღმოსავლეთ ნაწილის შემოღობვა, სოფ. ქვ. ხოდაშენის საჯარო სკოლაში განხორციელდება სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ღონისძიებები და სხვა ღონისძიებები.</p> <p>მიზანი: საჯარო სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.</p> | | |

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

| კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა | 2020 წლის გეგმა | | |
|----------|---|-----------------|---|----------------------|
| | | სულ | სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი | საკუთარი შემოსავლები |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 5,529.59 | 297.91 | 5,231.69 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 2,600.82 | 297.91 | 2,302.91 |
| 05 01 01 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 1,059.82 | 297.91 | 761.91 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,465.00 | 0.00 | 1,465.00 |



| | | | | |
|----------|---|----------|------|----------|
| 05 01 03 | სპორტული ღონისძიებები | 76.00 | 0.00 | 76.00 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 2,158.84 | 0.00 | 2,158.84 |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2,052.18 | 0.00 | 2,052.18 |
| 05 02 02 | კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 25.66 | 0.00 | 25.66 |
| 05 02 03 | კულტურული ღონისძიებები | 81.00 | 0.00 | 81.00 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 106.50 | 0.00 | 106.50 |
| 05 03 01 | ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | 56.50 | 0.00 | 56.50 |
| 05 03 02 | ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა | 50.00 | 0.00 | 50.00 |
| 05 04 | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 40.00 | 0.00 | 40.00 |
| 05 05 | ძეგლთა დაცვის ღონისძიებები | 204.27 | 0.00 | 204.27 |
| 05 06 | დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა | 419.17 | 0.00 | 419.17 |

| | | | |
|-----------------------------|--|----------------------------|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის სფეროს განვითარება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 | | 2600,82 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებებისა განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება. მიზანი: სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 01 | | 1059,82 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. განხორციელდება სოფ. ქვ. ხოდაშენში ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა, ქ. თელავში მდებარე ანთამის სახელობის სპორტული სკოლის დარბაზის გათბობის ქსელის მოწყობის სამუშაოები, ქ. თელავში მდებარე საჩოგბურთე კორტების დამცავი კედლის სამშენებლო სამუშაოები, ქ. თელავში მდებარე გვი | | |



ჩოხელის სახ. სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და საექსპერტო მომსახურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ტრენაჟორების (14 ერთეული) მოწყობა და სხვა.

მიზანი: ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

| | | | |
|-----------------------------|---|-------------------------------------|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 | | 1465,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, აიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებებისა განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, აიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი,</p> <p>მიზანი: სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებში და ტურნირებში მონაწილეობა</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 01 | | 185,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <ul style="list-style-type: none"> • ჩოგბურთის სპორტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა • ადგილობრივი, ქვეყნის და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება და მხარდაჭერა • წარმატებული სპორტსმენებისთვის, ქვეყნის და საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა • შშმ პირთა სპორტში ჩართულობა და ინტეგრირება • სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთ სექციების ორგანიზება სპორტული (ჩოგბურთის) ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისთვის • საზაფხულო ბანაკის (9 წლამდე ასაკის მოზარდები) ორგანიზება • წარმატებული სპორტსმენების აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და მათი წახალისება • მწვრთნელ-მასწავლებელთ კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა • საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების მომზადება, <p>ჩოგბურთის მეცადინეობებში ჩართულია 113 მოზარდი,</p> | | |

| | | | |
|-----------------------------|---|--|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 02 | | 252,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ბავშვთა ჩართულობა სპორტში, შესაბამისი სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ორგანიზაციის გამართული ფუნქციონირება, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ ჩართულია 420-450 მოზარდი, | | |



| | | | |
|--------------------------------|--|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 03 | | 674,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სპორტულ კლუბთა გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>სპორტულ კლუბთა გაერთიანება ახორციელებს წლიური საწვრთნელი პროცესის დაგეგმვას და ორგანიზებას. ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სექციები, სადაც წლის განმავლობაში ჩართულია დაახლოებით 627-643 მოზარდი: რაგბი -230 ბავშვი, მაგიდის ჩოგბურთი-8 ბავშვი, ჭადრაკი-42 ბავშვი, კალათბურთი -180 ბავშვი, ხელბურთი-36 ბავშვი, მხატვრული ტანვარჯიში- 102 ბავშვი, ფრენბურთი - 35 ბავშვი, ბილიარდი- 3 ბავშვი, სპორტული ტირი - 7 ბავშვი. სპორტულ კლუბთა გაერთიანებაში ჩართული მოზარდები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტურნირებსა და შეჯიბრებებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვარგარეთ. ხდება სპორტის სახეობების მიხედვით პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატობისათვის, მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|---|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 04 | | 354,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ჭიდაობის სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული სახეობები: მკლავჭიდი -35 ბავშვი, კრივი- 70 ბავშვი, კარატე 13 ბავშვი, ძიუდო 382 ბავშვი. სკოლის მიზანია გუნდების ჩამოყალიბება, შესაბამისი სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, მონაწილეობის მიღება სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში. მასობრივი და სამოყვარულო ღონისძიების ორგანიზება</p> | | |

| | | | |
|-----------------------------|--|-----------------------|--------------------------------------|
| პროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 03 | | 76,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: „იცხოვრე სპორტით“ - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეები მონაწილეობენ ოლიმპიადაში სპორტის შემდეგ სახეობებში : ფეხბურთში, კალათბურთში, სირბილში (დიდ და მცირე დისტანციებზე) სიმადლეზე ხტომაში, ბერინინგში, ძიუდოსა და მაგიდის ჩოგბურთში. სასკოლო - სპორტული ოლიმპიადა - თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობას, სპორტის 7 სახეობაში. სპორტი ბარიერების გარეშე. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე, ქ. თელავში ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების თანადაფინანსება, კახეთის რეგიონში ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება.</p> <p>მიზანი: მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით მოყვარულების და სპორტსმენების მეტი რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფა ღონისძიებებში.</p> | | |



| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის სფეროს განვითარება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|-----------------------------|--|-----------------------------|--------------------------------------|
| | 05 02 | | 2158,84 |
| პროგრამის განმახორციელებელი | <p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო</p> <p>დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო</p> <p>სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა</p> | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობითი საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ქართული ფოლკლორული ხელოვნების და ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნებას.</p> | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|-----------------------------|--|------------------------------------|--------------------------------------|
| | 05 02 01 | | 2052,18 |
| პროგრამის განმახორციელებელი | <p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო</p> <p>დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის თელავის №1 სამუსიკო</p> <p>სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა</p> | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | <p>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება და ფუნქციონირებს კულტურული ორგანიზაციები რომლებიც ახორციელებენ კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტების მოწყობას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობითი საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას და სხვა</p> | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
|-------------------------|-------------|---|--------------------------------------|
| | 05 01 02 01 | | 120,0 |

ქვეპროგრამის განმახორციელებელი ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი



| | | | |
|-------------------------------|--|--|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მეშვეობით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტიუმების განახლება, მოცეკვავეთა გადამზადების პროგრამის შექმნა და გაუმჯობესება თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. ანსამბლის ბაზაზე არსებული სკოლა-სტუდია, სადაც 6 წლიდან ბავშვები შეისწავლიან ქორეოგრაფიულ საწყისებს, სამომავლოს მათი ჩამოყალიბება პროფესიონალ შემსულებლებად. მიზანი: ქართული საცეკვაო ხელოვნების პროპაგანდა. | | |
|-------------------------------|--|--|--|

| | | | |
|-------------------------|-------------|--|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის №1სამუსიკო სკოლა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 02 | | 120,0 |

| | | | |
|--------------------------------|--|--|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ნიკო სულხანიშვილის თელავის №1სამუსიკო სკოლა | | |
|--------------------------------|--|--|--|

| | | | |
|-------------------------------|--|--|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>თელავის №1სამუსიკო სკოლაში სწავლობს 114 მოსწავლე შემდეგ განყოფილებებზე: საფორტეპიანო, საგუნდო, სიმებიანი (გიტარა, ვიოლინო) სოლო სიმღერა, კლასიკური ვოკალი (ესტრადა), ფოლკლორი. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში, ხდებიან ლაურეატები, ჯილდოვდებიან სიგელებით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; მონაწილეობის მიღება კულტურული ღონისძიებებში ფესტივალებში, კონკურსებში.</p> | | |
|-------------------------------|--|--|--|

| | | | |
|-------------------------|-------------|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის №2 სამუსიკო სკოლა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 03 | | 108,0 |

| | | | |
|--------------------------------|---|--|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის №2 სამუსიკო სკოლა | | |
|--------------------------------|---|--|--|

| | | | |
|-------------------------------|--|--|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <ul style="list-style-type: none"> ▪ ზოგადი მუსიკალური განათლების მიცემა - ხელოვნების კონკრეტული სახეობების(ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი) დაუფლებაზე ორიენტირებული მომზადება ▪ ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობით და სხვა აქტივობებით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა. ▪ წარმატებული მოსწავლეების წახალისება და ხელშეწყობა ▪ ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაცისა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. <p>სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 120 მოსწავლე</p> | | |
|-------------------------------|--|--|--|

| | | | |
|-------------------------|-------------|--|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 04 | | 90,0 |

| | | | |
|--------------------------------|--|--|--|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა | | |
|--------------------------------|--|--|--|

| | | | |
|-------------------------------|---|--|--|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>სკოლაში ამჟამად სწავლობს 136 მოსწავლე, ისწავლება შემდეგი საგნები: ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ანიმაციის სწავლება არის სიახლე, რაც რამდენიმე წლის წინ დაინერგა სკოლაში, ხდება ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ვიდეოების შექმნა. ანიმაციის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით,სწავლება ხორციელდება როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაფარულში, სკოლის მოსწავლეები მონაწილეობა სდებულობენ სხვადასხვა კონკურსებსა თუ ფესტივალებზე. სკოლის მიზანია</p> | | |
|-------------------------------|---|--|--|



სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის (12-16 წელი) დაწყებითი სამხატვრო განათლების მიღება ხელოვნებასთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწყოს პიროვნების ინდივიდუალურ შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას მოსწავლეების ზიარებას ხელოვნების საფუძვლებთან.

| | | | |
|--------------------------------|---|---|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება" | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 05 | | 288,3 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | <p>საბიბლიოთეკო გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფა: საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; - საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაცნებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; - საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების კართოთეკების შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;</p> <p>• მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კართოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; • საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>ყოველწლიურად ხორციელდება წიგნადი ფონდის განახლება.</p> <p>ბიბლიოთეკებში დარეგისტრირებულია 19580 მკითხველი, ყოველწლიურად გაიცემა დაახლოებით 315500 საბიბლიოთეკო ერთეული.</p> <p>მიზანი: მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება.</p> | | |

| | | | |
|--------------------------------|---|--|--------------------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარებში) |
| | 05 01 02 06 | | 1027,38 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | | |
